სასამართლო გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია და მათი მიღების წინაპირობების ურთიერთმიმართება

ნინო კიკნაძე

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნით

კერძო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაშა კალანდაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი

აბსტრაქტი

სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება ადამიანთა უფლებების დაცვა და იმ უფლებების აღდგენა, რომელიც უფლების დარღვევამდე არსებობდა. სწორედ ამ მიზნით გამოაქვს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც თავისთავად წარმოადგენს უფლების დაცვის აქტს, დოკუმენტს, რომლითაც პირს შეუძლია მოახდინოს საკუთარი დარღვეული უფლების აღდგენა, რეალიზაცია. სასამართლოს გადაწყვეტილება ყალიბდება წერილობითი ფორმით. სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა შეაფასოს მტკიცებულებები, განსაზღვროს დადგენილი გარემოებები, თუ რა საკანონმდებლო აქტებით იხელმძღვანელა ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად და საბოლოოდ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა.

გადაწყვეტილებაში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება უნდა იყოს: გამორკვეული, შეფასებული და საბოლოოდ შეჯამებული და რაც მთავარია, ეს ყოველივე დაწვრილებით და გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებაში. საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნას, როგორც ერთპიროვნულად, ისე - კოლეგიურად.

წინამდებარე ნაშრომის თემას წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და მნიშვნელობა, განხილული იქნება სასამართლო გადაწყვეტილების სახეები (საბოლოო, დამატებითი, წინასწარი, ნაწილობრივი, დაუსწრებელი), შინაარსი და გადაწყვეტილების ცალკეული სახეების მიღების სამართლებრივი წინაპირობების ურთიერთმიმართების თავისებურებანი, მათი მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები სხვა ქვეყნის სასამართლო სისტემებთან. ნაშრომის მიზანია ნათლად წარმოჩინდეს პირველი და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ურთიერთიმართება, ასევე, მაგისტრატი სასამართლოს მიერ გადაწყვეტლების მიღების პროცესი და სასამართლო სისტემაში საქმეთა სიმრავლის გამო არსებული პრობლემები, რაც თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

ABSTRACT

Protection of human rights and restoration of rights that existed before the rights violation is carried out by the Court. It is for this purpose that the Court makes a decision, which itself constitutes the Human Rights Act, the document capable of violated rights restoration and realization. As a rule, the Court decision is formulated in a written form. The Court shall evaluate the evidences to determine the established circumstances, by which legislative acts had it been governed when making a decision and whether the suit should be finally satisfied or not.

All the factual circumstances in the decision shall be: discussed, evaluated, and eventually summarized, and most importantly, all of these should be detailed and comprehensible in the content of the decision. The court decision consists of: introduction, description, motivational and resolution sections. The court decision can be brought out as a single and collegial.

This paper focuses on the concept and the importance of a court decision, the types of court decisions (final, additional, preliminary, partial, by default) will be reviewed, the content and interrelationship between certain types of legal preconditions for decision-making, similar and distinctive signs between them and the country's judicial systems. In this paper I will try to express clearly the interrelationship of the superior court's decisions, as well as to discuss the magistrate court's decision-making process, outline the problems existing in the judicial system due to multitude cases, which in its turn, affect the judge's decision-making process.